

# ანთროპოგენური რელიეფის უძველესი ფორმები: საზღვაო და სამდინარო პოლიფუნქციური არხები და ფერდობების დატერასება

## *ცეცელია დონაძე*

ელ-ფოსტა: [tsetsilia.donadze@tsu.ge](mailto:tsetsilia.donadze@tsu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო, 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

გეომორფოლოგია აღმოჩნდა გეოგრაფიულ მეცნიერებათა იმ ჯგუფში, რომელიც მხოლოდ ბოლო 40-50 წლის წინ ჩაერთო საფუძვლიანად ადამიანისა და გარემოს ურთიერთკავშირის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების შესწავლაში. დაახლოებით 200 წლის წინ, ჩ. ლაიელის დროს, კაცობრიობის შესაძლებლობა გარდაეკმნა ბუნება, მეტოქეობა გაეწია მის ძალებთან, მინიმალური იყო. გარემოზე ადამიანის ზემოქმედება გაიზარდა მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის პროპორციულად. რელიეფის მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან, ანუ ანთროპოგენურ ფაქტორთან, რომელშიც გაერთიანებულია ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების ყველა ფორმა. იქიდან გამომდინარე, რომ გეოეკოსის ფართობი შედარებით მუდმივი სიდიდეა, ხოლო დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა მუდამ მეტობისკენ ცვლადი, ცხადია, რომ იზრდება ადამიანის გავლენის რაოდენობრივი მაჩვენებელი გეოეკოსზე. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი ერთადერთი არსებია დედამიწაზე, რომელსაც თვითონ შეუძლია სასურველი გარემოს შერჩევა. უძველესი დროიდან ადამიანის ზემოქმედებით შექმნილ, ანუ ანთროპოგენური რელიეფის ფორმებს წარმოადგენს საზღვაო თუ სამდინარო პოლიფუნქციური არხები და ფერდობების დატერასება.

დიდი სამუშაოები ტარდება ანთროპოგენური მდინარეების, ანუ არხების მშენებლობისას. არხი სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, მათ ასეულობთ კილომეტრებზე გადააქვთ სასოფლო-სამეურნეო, სამელიორაციო და სხვა დანიშნულების წყლის ვეება მასა.

მთიანი და მცირემიწიანი ქვეყნებისთვის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიწის ფონდის გასაზრდელად ერთ-ერთ ოდითგანვე ცნობილ მეთოდს ფერდობების ხელოვნურად დატერასება წარმოადგენს.

მორწყული მიწების სავარგულებად გადაქცევამ მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგების პრობლემების მოგვარებას შეუწყო ხელი. სხვა მსგავსი რამ კაცობრიობას ჯერაც არ მოუგონია, მაგრამ, სამწუხაროდ, მასაც გარკვეული უარყოფითი მხარეები გააჩნია, პირველ რიგში, ასეთად ითვლება მაღალმინერალიზებული ანთროპოგენური ტბები, რომლებიც ირიგაციის კანონზომიერი შედეგია, სავარგულების მორწყვის შემდეგ ძლიერ მინერალიზებული წყლის მოცილება მხოლოდ იმ ჩაკეტილ დეპრესიებში შეიძლება, რომლებიც აღნიშნულ მიწებთან ახლოს მდებარეობს;

ოდითგანვე საქართველოს მოსახლეობის მაპროფილებელ დარგს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა, ამიტომ ნაშრომში მსოფლიოს სხვა ქვეყნების კვალდაკვალ, ჩვენს ქვეყანაშიც არსებულ უძველეს, უდიდეს, ფუნქციური დატვირთვით იშვიათ და უნიკალურ არხებს და ტერასებსაც ვეცნობით. ასევე, მათ გავლენას გარემო პირობებზე, კერძოდ თანამედროვე გეომორფოლოგიურ პროცესებზე.